



ანარმთე საქართველოში

სასტუმროს ინფრასტრუქტურის მინიმალური კრიტერიუმები, დანართი N 3-ის მიხედვით:

სასტუმროს უნდა ჰქონდეს 1 ან მეტი პარამეტრი:

- ა. 1 ოთახიანი ნომერი - 1 ან 2 ადგილიანი - არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის - სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4კვ.მ.
- ბ. მრავალპირიანი ნომერი (აპარტამენტი) 2 ან 2+ ადგილიანი - თითოეულ სტუმარზე არანაკლებ 8 კვ.მ, მათ შორის - სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 2კვ.მ. ნომერებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საწოლის ჩამატების შესაძლებლობა.
- **ლიფტი** - თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არააფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი დოკუმენტაციით): შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია; შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას; არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს; თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.
- **სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:**
გარე განათება;
შენობის შიდა ფართობის განათება;
საშხაპე/აბაზანა, ხელსაბანი, უნიტაზი;
სასტუმრო ოთახ(ებ)ის და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.
- **ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიციონირება:**
ნომერში არანაკლებ ერთი ფანჯარა ბუნებრივი განათებისათვის (ხმაურდამცავი მინაპაკეტით);
ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიციონირება (გათბობა/გაგრილების სისტემა),
ალტერნატიული ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;
დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიციონირება (გათბობა/გაგრილების სისტემა).
- **უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:**
ხანძარსა და სისხლის დაზიანებისგან დაცვა ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
საევაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.
- **პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:**
სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;
შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.
- **სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):**
განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;
მინიმუმ სამ ადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;
სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.
- **კვების ობიექტი** - სასადილო ან რესტორანი.



ანარმთა საპარტოვალთო

სასტუმრო ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვა სერვისები

საქმიანობის NACE 2 კოდი, დასახელება

1. I 55.1 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები
2. I 55.2 დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები
3. I 55.9 სხვა განთავსების საშუალებები
4. I 56.10.0 რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები
5. J 59.14.0 კინოფილმების ჩვენება
6. R 90.0 შემოქმედებითი, სახელოვნებო და გასართობი საქმიანობები
7. R 91.0 ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმების და კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობები
8. R 92.0 აზარტული თამაშების საქმიანობები
9. R 93 საქმიანობები სპორტის, გართობის და დასვენების სფეროში
- 10.S 96.01 ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა
- 11.S 96.02 საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება
- 12.S 96.04 გამაჯანსაღებელი საქმიანობები
- 13.S 96.09 სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი